31 ოქტომბერი
სამშაბათი, 1961 წ.
№ 175 (1811)
გამოდის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა

## სკკპ XXII ყრილობაზე 1961 წლის 27 ოქტომბერს

წარმოთქვა რა საბოლოო სიტყვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესახებ მოხსენების განხილვის შემდეგ, ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ XXII ყრილობა ჩვენი ლენინური პარტიის ერთიანობის, მის გარშემო მთელი საბჭოთა ხალხის მჭიდროდ შეკავშირების უაღრესად მკაფიო დემონსტრაციაა. თავისი მუშაობის მთელი შინაარსით XXII ყრილობამ დაადასტურა ჩვენი პარტიის ურყევი ერთგულება ხაზისადმი, რომელიც XX ყრილობამ შეიმუშავა. ახლა კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ XX ყრილობამ, აღმოფხვრა რა პიროვნების კულტის პერიოდის მთელი ნაშთები, ახალი ფურცელი გადაშალა ჩვენი პარტიის ისტორიაში, კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარებაზე.

XXII ყრილობის ყურადღების ცენტრშია პარტიის პროგრამა — კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა. ყველა დელეგატი თავის გამოსვლებში, იწონებდა რა პროგრამის პროექტს, საქმიანად განიხილავდა მისი განხორციელების კონკრეტულ პრაქტიკულ გზებს. დელეგატების გამოსვლებს, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, ახასიათებს მაღალი პრინციპულობა, საქმიანობა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა. ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და პროგრამის პროექტის განხილვის მსვლელობაში დაისვა სახალხო მეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფის დიდმნიშვნელოვანი საკითხები. ყრილობამ ცხადყო, რომ პარტია ერთსულოვნად იწონებს ღონისძიებებს, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ ამ დარგში განახორციელეს უკანასკნელ წლებში, ისევე, როგორც ღონისძიებებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელდა.

შეეხო რა საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის საკითხებს, ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებას და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციას. იგი ხაზს უსვამს, რომ ჩვენი მშვიდობის მოყვარული წინადადებების პასუხად დასავლეთის სახელმწიფოები აშკარად იმუქრებიან იარაღს მოჰკიდონ ხელი.

როგორც უკვე აღნიშნული იყო ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ თუ დასავლეთის სახელმწიფოები გამოიჩენენ მზადყოფნას გერმანიის პრობლემის მოწესრიგებისათვის, ვადების საკითხს არ ექნება ასეთი მნიშვნელობა.

მაგრამ საბჭოთა კავშირი ვერ დაუშვებს, რომ მოლაპარაკება წარმოებდეს მოლაპარაკებისათვის, რომ, ისარგებლებენ რა ამით, დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებმა გააჭიანურონ მშვიდობიანი მოწესრიგება ევროპაში.

ამ ბოლო დროს, შენიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, ბურჟუაზიული პროპაგანდა ბევრს ხმაურობს იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირი იძულებული იყო განეახლებინა ატომური იარაღის გამოცდა. ამ ხმაურმა ისტერიული ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც ყრილობაზე გამოცხადდა 50 მილიონი ტონა ტროტილის სიმძლავრის ატომური იარაღის მომავალი გამოცდის შესახებ.

განმარტა რა მიზეზები, რომლებმაც საბჭოთა კავშირი აიძულეს განეახლებინათ გამოცდა, ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა:

ომის წარმოშობის პირდაპირი მუქარისა და საფრთხის წინაშე საბჭოთა კავშირი იძულებული იყო მიეღო საჭირო ღონისძიებანი თავისი თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად, საბჭოთა ხალხის, სოციალიზმის ქვეყნების მთელი დიადი თანამეგობრობის ხალხების დასაცავად.

ჩვენ დავდექით იმის წინაშე, რომ საჭირო იყო გაგვეუმჯობესებინა ჩვენი თერმოატომური იარაღი და მოგვეწყო მისი ახალი ნიმუშების გამოცდა.

იმპერიალიზმის ლენინური განსაზღვრა, რომელიც ააშკარავებს მის რეაქციულ, აგრესიულ ხასიათს, ძალას ახლაც ინარჩუნებს, ამასთანავე პარტია, თუ იგი დგას შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ნიადაგზე, მოვალეა გაითვალისწინოს ის დიდი ცვლილებანი, რომლებიც მსოფლიოში მოხდა მას შემდეგ, რაც ლენინმა მოგვცა იმპერიალიზმის ანალიზი.

შეეხო რა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მძლავრ ზრდას, ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ახლა იმპერიალიზმს არ შეუძლია ყველას უკარნახოს თავისი ნება და დაუბრკოლებლად განახორციელოს თავისი აგრესიული პოლიტიკა. იმპერიალისტებს ესმით, რომ თუ ისინი გააჩაღებენ მსოფლიო ომს, ამ ომში გარდუვალად დაიღუპება ხალხისათვის საძულველი იმპერიალისტური წყობილება.

სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს თანამედროვე პირობებში საარსებო მნიშვნელობა ენიჭება. ეს ვერ შეუგნიათ მხოლოდ გამოუსწორებელ დოგმატიკოსებს.

თავის საბოლოო სიტყვაში ნ. ს. ხრუშჩოვმა ამხილა ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელობის მცდარი პოზიცია, ხელმძღვანელობისა, რომელიც დაადგა ჩვენი პარტიის XX ყრილობის ხაზის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობის საფუძვლებისათვის ძირის გამოთხრის გზას. დელეგატებისა და მოძმე პარტიათა წარმომადგენლების გამოსვლები XXII ყრილობაზე ცხადყოფენ, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი სავსებით სწორად მოიქცა, როცა პრინციპულად და აშკარად მოახსენა ყრილობას საბჭოთა კავშირ-ალბანეთის ურთიერთობის არანორმალური მდგომარეობა.

ნ. ს. ხრუშჩოვი რწმენას გამოთქვამს, რომ დადგება დრო, როცა ალბანელი კომუნისტები, ალბანელი ხალხი იტყვიან თავიანთ სიტყვას და მაშინ ალბანეთის ხელმძღვანელებს მოუხდებათ პასუხი აგონ იმ ზიანისათვის, რომელიც მათ მიაყენეს თავიანთ ქვეყანას, თავიანთ ხალხს, ალბანეთში სოციალიზმის მშენებლობის საქმეს.

საბოლოო სიტყვაში დიდი ყურადღება დაეთმო საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნების კულტის განხილვასთან და ანტიპარტიული ფრაქციული ჯგუფის მხილებასთან. XXII ყრილობას, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, სრული საფუძვლით შეიძლება ეწოდოს ლენინური პარტიის მონოლითური ერთიანობის, სრული ერთსულოვნებისა და შეკავშირების ყრილობა. მთელმა ჩვენმა პარტიამ, მთელმა ხალხმა უარყვეს გარეწარები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ყოველივე ახალს, ცდილობდნენ აღედგინათ პიროვნების კულტის დროს გაბატონებული მანკიერი მეთოდები.

ნ. ს. ხრუშჩოვი ყრილობას უამბობს, რომ ანტიპარტიული ჯგუფი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა წინადადებას, რომ პარტიის XX ყრილობაზე დაგვეყენებინა პიროვნების კულტის პერიოდში ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საკითხი. ყრილობის შემდეგაც ფრაქციონერებს არ შეუწყვეტიათ ბრძოლა. ყოველი ღონისძიებით აფერხებდნენ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საქმის გამორკვევას, რადგან ეშინოდათ, რომ მაშინ გამოირკვეოდა მათი როლი როგორც მასობრივი რეპრესიების თანამონაწილეებისა.

პარტია პიროვნების კულტის პირობებში მოკლებული იყო ნორმალურ ცხოვრებას. ადამიანები, რომლებმაც ძალაუფლების უზურპაცია მოახდინეს, პარტიას ანგარიშს აღარ აბარებენ, მის კონტროლს აღარ ექვემდებარებიან. ეს არის პიროვნების კულტის მთავარი საშიშროება.

ჩვენი პარტიის XX ყრილობამ დაგმო პიროვნების კულტი, აღადგინა სამართლიანობა და მოითხოვა დაშვებულ დამახინჯებათა აღმოფხვრა. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა არ დაეშვა თვითნებობისა და უკანონობის დაბრუნება. მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვისა და სხვების ანტიპარტიული ჯგუფი ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა ამ ღონისძიებათა განხორციელებას.

ბევრი დელეგატი თავის გამოსვლაში, განაგრძობს ნ. ს. ხრუშჩოვი, აღშფოთებით ლაპარაკობდა ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეებზე, მოჰყავდა მათი დანაშაულებრივი მოქმედების ფაქტები. ეს აღშფოთება გასაგები და სამართლიანია.

ნ. ს. ხრუშჩოვი განსაკუთრებით ლაპარაკობს კ. ე. ვოროშილოვზე, ანტიპარტიულმა ჯგუფმა იგი გამოიყენა თავის ბრძოლაში ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. დიდ იმედს ამყარებდნენ ვოროშილოვზე, როგორც პარტიის ერთ-ერთ უხუცეს მოღვაწეზე.

ამხ. ვოროშილოვმა მძიმე შეცდომები ჩაიდინა, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ მას სხვანაირად უნდა მივუდგეთ, ვიდრე ანტიპარტიული ჯგუფის სხვა აქტიურ მონაწილეებს, მაგალითად, მოლოტოვს, კაგანოვიჩს, მალენკოვს. ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მუშაობის დაწყებისას ფრაქციონერების წინააღმდეგ მწვავე ბრძოლის პროცესში, როცა დაინახა ცენტრალური კომიტეტის წევრთა მონოლითურობა ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგ ბრძოლაში, კ. ე. ვოროშილოვმა შეიგნო, რომ იგი გაჰყვა იმათ, ვინც ილაშქრებს პარტიის წინააღმდეგ და დაგმო ანტიპარტიული ჯგუფის მოქმედება, აღიარა თავისი შეცდომები. ამით იგი რამდენადმე დაეხმარა ცენტრალურ კომიტეტს. ჩვენ ამხანაგ ვოროშილოვს უნდა მივუდგეთ ყურადღებით, გამოვიჩინოთ სულგრძელობა.

XXII ყრილობამ მთელი ძალით დაადასტურა, რომ პარტიის XX ყრილობის კურსი, პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და შემდგომი განვითარების, პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლების, ხალხის მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლების კურსი ერთადერთი სწორი კურსია. XXII ყრილობა განამტკიცებს ამ კეთილნაყოფიერ კურსს.

ბევრ გამოსვლაში ყრილობაზე და ხშირად ჩვენს პრესაშიც, როცა ლაპარაკობენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაზე, რაღაც განსაკუთრებულ მახვილს აკეთებენ ჩემს პიროვნებაზე, ხაზს უსვამენ ჩემს როლს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განხორციელებაში.

ჩემთვის გასაგებია ის კეთილი გრძნობები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ეს ამხანაგები. მაგრამ ნება მიბოძეთ მთელი ძალით გავუსვა ხაზი, რომ ყველაფერი, რაც ჩემს მიმართ იყო ნათქვამი, უნდა მიეკუთვნოს ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს, რადგან არც ერთი დიდი ღონისძიება, არც ერთი პასუხსაგები გამოსვლა არ ყოფილა ჩვენში ვილაცის პირადი მითითებით, არამედ შედეგია კოლექტიური განხილვისა, კოლექტიური გადაწყვეტისა. კოლექტიური ხელმძღვანელობა, ყველა პრინციპული საკითხის კოლეგიალური გადაწყვეტა ჩვენი დიადი ძალაა.

გადაჭრით ილაშქრებენ რა ერთი პიროვნების კულტის საზიზღარი მოვლენების წინააღმდეგ, მარქსისტ-ლენინელები მუდამ აღიარებდნენ და კვლავაც აღიარებენ ხელმძღვანელთა ავტორიტეტს.

მაგრამ სწორი არ იქნება განცალკევებით დავაყენოთ ესა თუ ის ხელმძღვანელი, გამოვყოთ იგი კოლექტივისაგან, რომელსაც ხელმძღვანელობს, უზომოდ ვაქოთ იგი. ეს ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს.

თავისი სიტყვის დასკვნით ნაწილში ნ. ს. ხრუშჩოვი შეეხო ორი იდეოლოგიის ბრძოლას — მუშათა კლასის იდეოლოგიისა, რომელიც გამოხატულია მეცნიერული კომუნიზმის მარქსისტულ თეორიაში, და ექსპლოატატორული კლასების იდეოლოგიისა, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა. ჭეშმარიტად გრანდიოზულია ამოცანები, რომლებსაც სახავს პარტიისა და ხალხის წინაშე XXII ყრილობა. ჩვენი ყრილობა იმის შესანიშნავი დადასტურებაა, რომ პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი მზად არის და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს დიად მიზანს — კომუნიზმის აშენებას ჩვენს ქვეყანაში. არავითარი ეჭვი არ არის, რომ კომუნიზმი, საბჭოთა კავშირში აშენდება — ასეთია პარტიის ნება, ხალხის ნება.

კომუნიზმის მზე ამოდის ჩვენს ქვეყანაში. გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ჩვენი თავდადებული შრომით მოვაახლოოთ ის დღე, როცა ეს მზე თავისი შუქით გაანათებს ჩვენი საუცხოო სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეებს.

სახელოვანი ლენინური პარტიის წინამძღოლობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ! — ასეთი სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა ნ. ს. ხრუშჩოვმა ყრილობის დელეგატებისა და სტუმრების ხანგრძლივი ტაშის გრიალსა და მისალმების შეძახილებში.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დადგენილება

## ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მავზოლეუმის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა ადგენს:

1. მავზოლეუმს წითელ მოედანზე კრემლის კედელთან, რომელიც შეიქმნა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უკვდავი დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ხსოვნის უკვდავსაყოფად, ამიერიდან ეწოდოს:

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მავზოლეუმი.

2. მიზანშეუწონლად ჩაითვალოს შემდგომი დატოვება მავზოლეუმში სარკოფაგისა, რომელშიც ი. ბ. სტალინის კუბოა, რადგან სტალინის მიერ ლენინის ანდერძთა სერიოზული დარღვევის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, პატიოსანი საბჭოთა ადამიანების წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიებისა და პიროვნების კულტის პერიოდის სხვა მოქმედების გამო შეუძლებელია მისი ცხედრის დატოვება ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში.



# ბაკურიანში

# თოვლი ჯერ მხოლოდ კოხტაზეა



თეთრ ნაბადშია გახვეული კოხტაგორა—სათხილამურო სპორტის მიმდევართა ეს საყვარელი ადგილი. თოვლი, ზამთრის ეს პირველი მაცნე, ნაადრევად მოვიდა და დიდხანს ვერ გაძლებს, მაგრამ მან ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთა: ადამიანებს, რომლებიც ბაკურიანის გაშენება-რეკონსტრუქციაზე მუშაობენ, თავი შეახსენა, მოაგონა, რომ ზამთრის მოსვლამდე მცირე დრო რჩება. გასაკეთებელი კი ბევრია.

ჯერ კიდევ შარშან, როცა ბაკურიანის კეთილმოწყობის პროექტმა ფრთების შესხმა დაიწყო, გაჩაღდა კომკავშირულ-გამაჯანსაღებელი ბანაკისა და სპორტკავშირის სასტუმროს მშენებლობა. ვარაუდობდნენ ერთი ნაწილის იმავე სეზონისათვის დამთავრებას, მაგრამ ვარაუდი ვარაუდად დარჩა და თითქმის მთელი სამუშაოები მემკვიდრეობით გადაეცა ახალ 1961 წელს. დაიწყო „დინამოს" ბაზის გაფართოება, რესტორნის მშენებლობა, წყალკანალიზაციის ქსელის ჩაყრა, დაბის ქუჩების რეკონსტრუქცია, კინოთეატრის მშენებლობა, ბინათმშენებლობა მუხიანის ველზე, კოხტაზე ბაკურიანიდან და მიტარბიდან მისასვლელი გზების კეთილმოწყობა.

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით ყველა სამუშაო 1 დეკემბრისათვის უნდა დამთავრებულიყო. ამიტომაც საქმეში რამდენიმე ორგანიზაცია ჩართეს — მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის (მმართველი შ. კიტოვანი) ბორჯომის სამშენებლო სამმართველო (უფროსი ა. ასათიანი), № 7 სპეციალური ტრესტი (მმართველი მ. თავდგირიძე) ახალციხის სამშენებლო სამმართველო (უფროსი ა. აჯიმიანი), ბორჯომის სარემონტო კანტორა, გზატკეცილების სამმართველოს ბორჯომის კანტორა.

ბორჯომის სამშენებლო სამმართველო აწარმოებს კომკავშირულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის, სასტუმროს, მუხიანზე არსებული საცხოვრებელი ბინების, რესტორნის, კინოთეატრის, სამთო-სათხილამურო ბაზის მშენებლობას და ყველგან სავალალო მდგომარეობას აქვს ადგილი. თუ კომკავშირულ ბანაკში შედარებით უკეთესადაა 10 კოტეჯის მშენებლობის საქმე, რომელსაც 80 კაცის მიღება შეეძლება, ამას ვერ ვიტყვით 164-ადგილიანი საძინებელი კორპუსის, სამეურნეო და ადმინისტრაციული კორპუსების მშენებლობაზე, სადაც 3 თვის გეგმა 56,8 პროცენტითაა მხოლოდ განაღდებული.

სასტუმროს მშენებლობაზე 9 თვის გეგმა მხოლოდ 35,8 პროცენტით, სამთო-სათხილამურო ბაზის მშენებლობაზე — 16,1 პროცენტით (!) გაანაღდეს. მთლიანად კი ბორჯომის სამშენებლო სამმართველომ ყველა ობიექტზე გეგმის მხოლოდ სანახევროდ შესრულება მოახერხა. მშენებლობის საქმეში არსებულ დარღვევებს ჰქონდა მრავალი მიზეზი და მათში ძირითადად მშენებლობათა ხელმძღვანელებს მიუძღვით ბრალი, რომლებმაც სათანადო ორგანიზაცია ვერ გაუკეთეს მასალათა დროულ მიწოდებას, მშენებლობის მუშახელით უზრუნველყოფას.

რაკი მუშახელზე ჩამოვარდა საუბარი აქვე უნდა ითქვას ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, წალკის, ხაშურის რაიონების ხელმძღვანელთა მშენებლებისადმი სუსტ დახმარებაზე. აღნიშნულ რაიონებს უნდა მიევლინებინათ 300 კვალიფიციური და დამხმარე მუშა, სინამდვილეში არც ერთ რაიონს არ შეუსრულებია დავალება.

საგრძნობლად შეაფერხა კომკავშირულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის საძინებელი კორპუსის მშენებლობა აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხნის უხარისხო ნაწარმმაც. სანახევროდ აშენებული შენობა ხელახლა შეიქმნა ასაშენებელი. გაკვირვებას იწვევს მშენებლობის მექანიზაციის დაბალი დონეც. მშენებლებს თითქმის ყველა პროცესების შესრულება ხელით უხდებათ. არ ყოფნით ამწეები, ბეტონმრევი დანადგარები. ერთად-ერთი ბეტონსარევი დღეში 18 კუბამეტრს იძლევა, მაშინ, როცა ყოველდღიურად 100-მდე კუბამეტრი ბეტონია საჭირო. ახალი ხსნარის ასარევის დამონტაჟებას კი საშველი არ დაადგა. მთელ რიგ ობიექტებზე არსებული ამწეები მხოლოდ ნახევრადაა მექანიზებული, ზოგან კი სამშენებლო მასალა ხელით აქვთ მუშებს მეორე და უფრო მაღლა სართულებზე.

შეუწყნარებელი, ნელი ტემპით მიმდინარეობს წყალკანალიზაციის ქსელის მშენებლობაც. წლების განმავლობაში განიცდიდა დაბა წყლის ნაკლებობას, თითქოს ეს საკითხიც უნდა მოგვარებულიყო წელს, მაგრამ დღემდე მხოლოდ სამუშაოთა ნახევარია შესრულებული.

ნელი ტემპით მიმდინარეობს კოხტაზე მისასვლელი გზების მშენებლობაც, იმდენად ნელი ტემპით, რომ საეჭვოა იგი მზად იყოს სპორტული სეზონისათვის. ამ საქმეში მნიშვნელოვანი „წვლილი მიუძღვით" ბაკურიანის სატყეო მეურნეობის მუშაკებსაც, რომლებმაც მშენებლებს დღემდე ვერ მისცეს იმ რამდენიმე ხის მოჭრის უფლება, რომლებიც ხელს უშლიან გზების გაფართოებას.

ყველა ზემოაღნიშნულს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ბაკურიანის სამშენებლო ობიექტებზე დაცული არ არის უსაფრთხოების ტექნიკა, აშკარა გახდება მშენებლობის ხელმძღვანელთა — დამკვეთთა და შემსრულებელთა საქმისადმი ზრუნვის ხარისხიანობის მაჩვენებლები.

ამას წინათ ბაკურიანი მოინახულა სპეციალურმა კომისიამ, იმსჯელა შექმნილ მდგომარეობაზე, მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი, რის შედეგად სხვა სამუშაოთა დაჩქარების მიზნით დროებით შეჩერებული იქნა სასტუმროსა და სამთო-სათხილამურო ბაზის მშენებლობა.

წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრების ჩატარებაა განზრახული ბაკურიანში, რომელთა შორის აღსანიშნავია ზამთრის პირველი საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებანი სამთო სახეობებში. ამ ღონისძიებაზე ასობით სტუმარს ელოდებიან ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, სოციალისტური ქვეყნებიდან. ამდენად მშენებელთა და მათი დამხმარე ორგანიზაციების ღირსების საქმეა მომზადებულნი შევხვდეთ ძვირფას სტუმრებს.

თოვლმა კოხტა გორა მოინახულა, მალე ქვევითაც იკადრებს ჩამოსვლას. დრო არ ითმენს.

**ო. გულაშვილი,**
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

* * *





**სურათებზე:** ასე მუშაობენ „მექანიზმები" კომკავშირულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის მშენებლობაზე.

## მადლობა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის

1961 წლის 25 ივლისს ბათუმში ვიმყოფებოდი. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ზღვაზე გავედი საცურაოდ. ზღვა ღელავდა. ცურვის დროს ღელვამ კიდევ უფრო იმატა და ნაპირზე გამოსვლა შეუძლებელი შეიქმნა, მშველელი არ ჩანდა. ზღვის სტიქიასთან ამაოდ ბრძოლის შემდეგ გრძნობა დავკარგე... გონს საავადმყოფოში მოვედი. დიდხანს ვეძებე ჩემი გადამრჩენელი. მეუბნებოდნენ: წყალბურთელთა საკავშირო ნაკრების წევრებმა გიხსნესო. ამაზე წერდა „იზვესტიაც."

ამ რამოდენიმე დღის წინ კვლავ ვესტუმრე ბათუმს „აღმოვაჩინე" ჩემი გადამრჩენელი. იგი ბათუმელი, ზღვაზე მომუშავე ედუარდ გრიგოლის ძე ცინცაძე აღმოჩნდა. „შორიდან იღბლად დაგინახე, — მითხრა მან, — სიცოცხლის ალარაფერი გეტყობოდა, მაგრამ ზღვაში დატოვება არ შემეძლო, წყალბურთელებიც, მომეშველენ, გაჭირვებით გამოგიტანეთ, არ მეგონა თუ გადარჩებოდი", ქების ღირსია ედუარდი, ადამიანის სიცოცხლის გადამრჩენელი. მთავრობის მრავალი ჯილდოც ამით დაუმსახურებია ამ უმწიკვლო მუშაკს.

ათასჯერ მადლობა, ედუარდ ცინცაძევ, ადამიანთა სიცოცხლის გადამრჩენელო!

**რ. ქორჩაკიძე,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი, სპორტის ოსტატი.

# მეტი ყურადღება შაშს

— საქმე ისე წავიდა, რომ ჩვენც შევეჩვიეთ არსებულ მდგომარეობას და ჩამორჩენას შაშში, — გვითხრა საქართველოს შაშის ფედერაციის თავმჯდომარემ გ. ოსიპოვმა. არავინ გვთხოვს, არავინ გვიწევს კონტროლს და არც არავინ გვეხმარება. ერთი სიტყვით, სტიმულიც არა გვაქვს.

ალბათ ამიტომ იყო, რომ საქართველოს მოშაშეთა ნაკრებმა გუნდმა ამას წინათ საბჭოთა კავშირში გუნდურ პირველობაზე მხოლოდ XIII ადგილი დაიკავა. ამითვე აიხსნება თბილისისა და საქართველოს პირველობებისადმი საზოგადოებრიობის ნაკლები დაინტერესება, თუმცა სათანადო ორგანიზაციები პუნქტუალურად მართავენ ამ შეჯიბრებებს.

— არც ჟურნალ-გაზეთები გვიწევენ დახმარებას, — განაგრძო გ. ოსიპოვმა. — შაშის შესახებ ქართულ ენაზე ერთი წიგნი არ მოგვეპოვება.

საქართველოში რუსულ შაშს (64-უჯრიანს) უძველესი დროიდან იცნობენ, მაგრამ მიუხედავად მისი მასობრიობისა, სრულებით არ იგრძნობა რაიმე მაორგანიზებელი ხელი. რაიონებში (ზოგიერთის გამოკლებით) თითქმის არაფერი კეთდება შაშის პოპულარიზაციისათვის. მხოლოდ თბილისის, ფოთისა და სტალინირის მოშაშეებს აქვთ შედარებით უკეთესი მდგომარეობა. ისინი პირადი ენთუზიაზმით უწყობენ ხელს ამ თამაშის განვითარებას, ამიტომაც ძირითადად ამ ქალაქების მოშაშეებს შორის წყდება ჩემპიონის ბედი. საკითხავია, რას აკეთებს შაშის ფედერაცია, მისი აქტივი, რათა ტურნირებში ჩააბან ათასობით შაშის მოყვარულნი სოფლად, ქალაქად? არაფერს. თვითონ ფედერაციას აღრიცხვაზე ჰყავს მხოლოდ 100 (?!) მოშაშე. ცოტა ხომ არაა?

შაშისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის საყვედურის ღირსია (გარდა სპორტსაზოგადოება „განთიადისა") ყველა, ვისაც ეხება მისი მომავალი. მაგრამ პირველ რიგში თვითონ მოშაშეები არიან გაკიცხვის ღირსი. ჩვენ მხედველობაში გვყავს წამყვანი მოშაშეები. შაშს, ისე როგორც სპორტის სხვა სახეობებს, გააჩნია თამაშის თეორია, გამოდის წიგნები, ხოლო რიგში — სპეციალური ჟურნალიც კი. მაშასადამე, ზრდისათვის საჭიროა ამ ლიტერატურაზე სერიოზული მუშაობა, პრაქტიკაში გამოყენება. აკეთებენ ამას ჩვენი მოშაშეები? ალბათ, არა. ყოველ შემთხვევაში მათს შემოქმედებას ეს არ ეტყობა.

დროა რუსულ შაშს — მიეცეს მწვანე გზა. მრავალფეროვანი გავხადოთ შეჯიბრებები, ჩავაბათ მასში ახალგაზრდობა.

მაგრამ სადღეისოდ, საერთაშორისო აღიარება ჰპოვა 100-უჯრიანმა შაშმა. უკვე მეშვიდე წელია, რაც ახალმა შაშმა აიდგა ფეხი ჩვენი ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში. საბჭოთა მოშაშეებმა მოასწრეს მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოპოვებაც კი, მაგრამ საქართველოში იგი უმწეო მდგომარეობაშია. უკანასკნელ დრომდე 100-უჯრიანი დაფებიც კი არ იყო და როდის ჩატარდა ბოლო ტურნირი, არავის ახსოვს.

საქართველოში არიან ნიჭიერი მოშაშეები. მაგალითად, ფოთელმა ექიმმა თ. ბარამიძემ, რომელიც ათამაშეს საბჭოთა კავშირის პირველობის ნახევარფინალში, ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა. საჭიროა 100-უჯრიანი შაში გავხადოთ მასობრივი, ყველასათვის ხელმისაწვდომი. ამაზე უნდა იფიქროს მოშაშეთა ფედერაციამ.

სპორტის მესვეურებმა უნდა იცოდნენ, რომ უკვე დაისვა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის პროგრამაში შაშის შეტანის საკითხი. ამიტომ ახლავე უნდა შევუდგეთ ნიჭიერ მოშაშეთა გამოვლინებას, მეტი ვიმუშაოთ მაღალი კვალიფიკაციის მოთამაშეებთან.

კარგი საქმის გაკეთება შეუძლიათ ჩვენს საჭადრაკო კლუბებს, პირველ რიგში, რესპუბლიკურ კლუბს. რა უშლის ხელს მოეწყოს მოშაშეების მიწერ-მოწერითი ტურნირი, რომელსაც სათავეში ჩაუდგებიან აქტივისტი მოშაშეები ან კლუბის ინსტრუქტორები? კლუბს უნდა ჰყავდეს ერთი ინსტრუქტორი შაშშიც.

როგორც აღვნიშნეთ, მოშაშეებს ბევრი აქვთ გასაკეთებელი, შაშის რესპუბლიკური ფედერაციაც მოწოდებულია ამ საქმისათვის. ყველა, ვისაც კი აინტერესებს ქართული სპორტის მომავალი, გამარჯვება, უნდა შეუწყოს ხელი მოშაშეებს, რომ ისინიც მხარში ამოუდგნენ სხვა სახეობათა წარმომადგენლებს საბჭოთა სპორტული მიღწევებისათვის საბრძოლველად.

**თ. გიორგაძე**

## საბჭოთა კავშირის 1961 წლის პირად-გუნდური პირველობა სამბოში



# ტოკიოსათვის გამიზნული შეჯიბრება

6 წლის წინ მოიპოვა უკანასკნელად საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა კოლექტივმა პირველი ადგილი საკავშირო ჩემპიონატზე, შ ე მ დ ე გ უძლიერესის სახელი დიდი ხნით გადავიდა მოსკოვის მოჭიდავეთა მხარეს და აი წელს ბოლოსდაბოლოს, ჩვენმა გუნდმა დაიბრუნა დაკარგული პოზიციები. ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე პირველობისათვის მებრძოლ 24 პრიზიორს შორის 8 საქართველოს გუნდის წევრი იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩვენს სპორტსმენებს ფინალური ბრძოლების წინ კარგი შანსები ჰქონდათ გუნდურ ჩათვლაში. ქართველი მოჭიდავეების უახლოესი კონკურენტი — მოსკოვის ნაკრები ერთი მოჭიდავით ნაკლებით იყო წარმოდგენილი ფინალში.

ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის ბრძოლა პირველად უმძიმესი წონის მოჭიდავეებმა ლ. კაციაშვილმა და მოსკოველმა ვ. კარელინმა დაიწყეს. ეს შეხვედრა ამავე დროს ორი თაობის სამბისტთა პრინციპიალური ბრძოლაც იყო. საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონის, ლ. კაციაშვილის გამოცდილებას და მაღალ ტექნიკას დაუპირისპირდა მოსკოველი ოსტატის ახალგაზრდული ჟინი და მონდომება. შეხვედრა ქულებით მოიგო კაციაშვილმა, რომელმაც თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმი ჩააქსოვა ამ გადამწყვეტ ბრძოლაში.

მძიმე წონაში პირველობისათვის მებრძოლ სპორტსმენთა შორის არ იყო საქართველოს გუნდის არც ერთი წევრი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველი ვ. ფრაერი და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ს. კეროდი. ამ უკანასკნელმა აქტიურად ჩაატარა ბრძოლა და მოიპოვა დამსახურებული გამარჯვება. იგი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მძიმე წონაში.

ქვემსუბუქ წონაში როგორც მოსალოდნელი იყო პირველი ადგილი დაიკავა სამბოს საუკეთესო ტექნიკოსმა, მოსკოველმა ო. სტეპანოვმა. ფინალური ბრძოლა გ. სიმონიშვილის წინააღმდეგ დასაწყისში მოსკოველისათვის არახელსაყრელად წარიმართა. ქართველმა მოჭიდავემ მას ნახევარი ქულა წაართვა. შემდგომში სტეპანოვის უპირატესობა აშკარა იყო და მან მოიპოვა კიდეც გამარჯვება ქულებით. მსაჯთა კოლეგიამ სავსებით სამართლიანად მიანიჭა მოსკოველ ოსტატს სპეციალური პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის.

ჩატარებულმა ჩემპიონატმა ცხადყო, რომ საქართველოს მოჭიდავეები იშვიათად იყენებენ სამბოსათვის დამახასიათებელ მტკივნეულ ილეთებს და ძირითადად წარმატებას ქართული ჭიდაობის ხერხების გამოყენებით აღწევენ. ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენდა მსუბუქი წონის მოჭიდავე თ. არაბული, რომელმაც ფინალში მეშვიდე წუთზე მტკივნეული ილეთის გამოყენებით დაამარცხა ბელორუსი ვ. შეიკო.

ქვესაშუალო წონაში სხვებზე უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა საქართველოს გუნდის წევრს ვ. მარიამულს, რომელსაც უკანასკნელი ბრძოლის წინ (ლენინგრადელ ბ. კლიმოვიჩთან) თითქმის განაღდებული ჰქონდა პირველი ადგილი. ამისათვის მას არ უნდა წაეგო გადამწყვეტი შეხვედრა წმინდად. კლიმოვიჩმა ამ შეხვედრაში უმნიშვნელო უპირატესობას მიაღწია. იგი გამოვიდა მეორე ადგილზე მარიამული პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

საშუალო წონაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოველმა ო. კარაშჩუკმა. მეორე ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს გუნდის წევრი ნ. ბალაკაშვილი და მოლდაველი ოსტატი გ. ნონიკაშვილი. ბრძოლა წმინდად მოიგო ნ. ბალაკაშვილმა (მე-8 წუთზე მტკივნეული ილეთის ჩატარებით).

საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი ქვემძიმე წონაში, მოსკოველი გ. შულცი ამჯერადაც პირველობის მთავარი პრეტენდენტი იყო. პირველი ადგილის მოსაპოვებლად, მას უკანასკნელი ბრძოლა ა. ქიბროწაშვილთან არ უნდა წაეგო წმინდად. ქართველ მოჭიდავეს კი მხოლოდ წმინდა გამარჯვება აწყობდა. ყველა სხვა შემთხვევაში იგი მესამე ადგილზე გამოდიოდა. გ. შულცმა ბრძოლა უმნიშვნელო უპირატესობით მოიგო და მეექვსედ მოიპოვა ჩემპიონის საპატიო სახელი.

მოუთმენლად ელოდა მაყურებელი მძიმე წონის სპორტსმენთა ა. კიკნაძისა და ს. ასიატილოვის (რსფსრ) ორთაბრძოლას. მეტოქეებმა შეხვედრა აქტიურად დაიწყეს და უეცრად, კიკნაძემ ოსტატური სარმით ძირს დახცა ასიატილოვი. ეს მოხდა შეხვედრის მესამე წუთზე. მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა ქართველი მოჭიდავე, რომელიც წელს პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მძიმე წონაში.

**ქ. ნინიაშვილი,**
სპორტის ოსტატი,
**ნ. გუგუშვილი.**

* * *

ქვემოთ მოგვყავს ჩემპიონატის საბოლოო შედეგები და პრიზიორთა გვარები. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საქართველოს მოჭიდავეებმა. მათ გადაეცათ ჩემპიონის გარდამავალი თასი. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ — 2. მოსკოვი, 3. ლენინგრადი, 4. რსფსრ, 5. უკრაინა, 6. ლატვია, 7. მოლდავეთი, 8. ბელორუსია, 9. უზბეკეთი, 10 სომხეთი.

პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ: **უმძიმეს წონაში** — 1. ლ. კაციაშვილი (საქართველო), 2. ვ. კარელინი (მოსკოვი), 3. ლ. შტურმანი (ლატვია).

**მძიმე წონაში** — 1. ს. კეროდი (რუსეთის ფედერაცია), 2. ა. ლუკაჩოვი (მოსკოვი), 3. ვ. ფრაერი (მოსკოვი).

**ქვემსუბუქ წონაში** — 1. ო. სტეპანოვი (მოსკოვი), 2. გ. სიმონიშვილი (საქართველო), 3. ა. მარტყოფლიშვილი (საქართველო).

**მსუბუქ წონაში** — 1. თ. არაბული (საქართველო), 2. ლ. მოსკალიოვი (ყაზახეთი), 3. ვ. შეიკო (ბელორუსია).

**ქვესაშუალო წონაში** — 1. ვ. მარიამული (საქართველო), 2. ბ. კლიმოვიჩი (ლენინგრადი), 3. ე. გლარიოზოვი (მოსკოვი).

**საშუალო წონაში** — 1. ო. კარაშჩუკი (მოსკოვი), 2. ნ. ბალაკაშვილი (საქართველო), 3. ი. ციპურსკი (მოსკოვი).

**ქვემძიმე წონაში** — 1. გ. შულცი (მოსკოვი), 2. ბ. მიჩშენკო (ლენინგრადი), 3. ა. ქიბროწაშვილი (საქართველო).

**მძიმე წონაში** — 1. ა. კიკნაძე (საქართველო), 2. ს.ასიატილოვი (რუსეთის ფედერაცია), 3. ვ. საუნინი (უკრაინა).

* * *

**სურათზე:** ა. კიკნაძე ტექნიკურ ილეთს უტარებს ლენინგრადელ ვ. შაპოშნიკოვს.

# თასი — „შახტიორს“

**მოსკოვი.** (ტელეფონით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან). კვირას აქ, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საკავშირო თასის გათამაშების ფინალი, თამაშობდნენ დედაქალაქის „ტორპედო“ და სტალინოს „შახტიორი“.

პირველ ტაიმში როდინმა („შახტიორი“) და მეტრეველმა („ტორპედო“) გაიტანეს თითო-თითო ბურთი. მეორე ტაიმში ტორპედოელებმა დამატებით ორი ბურთი მიიღეს თავიანთ კარში.

ამრიგად, „შახტიორმა“ ფინალურ შეხვედრაში ანგარიშით 3:1 დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო“ და მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი.

## 2 მატჩი 2 დამარცხება

წყალბურთელთა საკავშირო პირველობაზე პირველი წრის 2 უკანასკნელ მატჩში თბილისის „დინამო“ შეხვდა მოსკოვის გუნდებს — ვმფსა და „დინამოს“. ორივე შეხვედრაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა განიცადა დამარცხება. ვმფ-სთან მან წააგო 2:5, ხოლო „დინამოსთან“ — 4:6.

ამრიგად, თბილისის „დინამოს“ გუნდმა გათამაშების ცხრილში პირველი ადგილიდან მესამეზე გადაინაცვლა.

# ვინ გადავა „ა“ კლასში?

## ქუთაისელთა პირველი ქულა

პირველ შეხვედრებში მარცხის მიუხედავად, ჩვენი რესპუბლიკის გუნდებისათვის ყველაფერი დაკარგული არ იყო და კვლავ რჩებოდათ შანსები ერთ-ერთი მაინც ყოფილიყო უძლიერესთა ტურნირში. საჭირო იყო მხოლოდ დარჩენილ მატჩებში ძალთა მაქსიმალური დაძაბვა. საქართველოს გუნდებმა — თბილისის „ლოკომოტივმა“ და ქუთაისის „ტორპედომ“ სწორედ თავიანთ მეორე შეხვედრაში, სადაც ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, გამოავლინეს მთელი თავიანთი შესაძლებლობანი.

ქუთაისელებმა ტალინის „კალევთან“ განცდილი მარცხის შემდეგ შეცვალეს ტაქტიკა. სწრაფი ტემპის გამუდმებული იერიშის ნაცვლად, მატჩი დაიწყეს ნელ ტემპში, რითაც ადუნებდნენ მოწინააღმდეგის სიფხიზლეს და მხოლოდ მათ ნახევარზე მოულოდნელი გარღვევებით ერთბაშად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. ჯერ იყო და „ლოკომოტივის“ მეკარე ნიშნიანიძემ მეტად ძნელი ბურთი აიღო ლეჟავასაგან, ხოლო შემდეგ სირაძემ კარგი მდგომარეობიდან დააცილა თბილისელთა კარს.

მოწოდების სიმაღლეზე იყო ქუთაისელთა დაცვა, რომელიც ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნით ლოკომოტიველებს არ აძლევდა კარზე საფრთხის შექმნის საშუალებას. 35-ე წუთზე „ტორპედომ“ გახსნა ანგარიში — მარცხენა ნახევარმცველი სარჯველაძე გაექცა თბილისელ მცველებს და კარის წინ ჩააწოდა ბურთი, რომელიც სირაძემ თავური დარტყმით გაიტანა „ლოკომოტივის“ კარში.

ზუსტად 3 წუთის შემდეგ ანგარიში იყო 1:1. ახალკაცმა ქუთაისელთა საჯარიმო მოედანთან მოულოდნელად მიაწოდა კარისაკენ, „ტორპედოს“ მცველმა ცხოვრებოვმა ოდნავ დააგვიანა, ბურთს მიუსწრო ფირცხალავამ და შეუჩერებლად, ძლიერად დაარტყა. დაბალ ბურთს მიწვდა მეკარე ურუშაძე, მაგრამ ვერ შეაჩერა და ანგარიში გათანაბრდა.

თამაშის ბედი ფაქტიურად შეხვედრის მეორე ნახევრის დასაწყისში გადაწყდა. ქუთაისელებმა თავდასხმაში გამოიყვანეს ხაჟალია, რომელმაც თავის თავზე აიღო თამაში. იგი კარგად ხელმძღვანელობდა „ტორპედოს“ იერიშებს, სწორედ მან თბილისელთა მცველ კუჭავას თავზე გადაუგდო ბურთი, მიწაზე დაშვებამდე მიუსწრო მას და გაიტანა მეორე გოლი.

ახალმა წარმატებამ ახალი ძალები შემატა ქუთაისელებს. მალე სორდიამ უსტაბაშიძთან ორთაბრძოლის მოგების შემდეგ ბურთი თბილისელთა საჯარიმო მოედნის ცენტრში მიაწოდა ლეჟავას, რომელმაც თბილისელები მესამედ აიძულა თამაში დაეწყოთ ცენტრიდან. შეხვედრის 55-ე წუთზე ლოკომოტიველები უხეში თამაშისათვის დაჯარიმდნენ თავიანთი კარის მისადგომებთან. ვიდრე ისინი კედლის აღმართვას მოასწრებდნენ, ხაჟალიამ მეოთხე გოლი გაიტანა,

ამრიგად, ქუთაისის „ტორპედომ“ გაიმარჯვა 4:1 და გაიუმჯობესა „ა“ კლასში გადასვლის შანსები. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ქუთაისის მეორე მატჩზე „კალევთან“.

**გ. ქორქია,**
კიშინიოვი, ჩვენი სპეც. კორ.

# პრეტენდენტები შეუდგნენ ბრძოლას

ამჟამად საჭადრაკო სამყაროს ყურადღება მიპყრობილია იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიასადმი, სადაც დაიწყო ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირი.

საზეიმო ვითარებაში, რომელსაც დაესწრნენ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის, იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენლები, ცნობილი მოჭადრაკეები, მოხდა კენჭისყრა. მონაწილენი სატურნირო ცხრილში განაწილდნენ ასე: 1. ს. ჰუნდსურენი (მონღოლეთი), 2. ფ. რინდერი (გფრ), 3. ნ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია), 4. ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი), 5. გ. გრესერი (ამერიკის შეერთებული შტატები), 6. შ. შოდე დე სილანი (საფრანგეთი), 7. ჰ. კონარკოვსკა (პოლონეთი), 8. ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია), 9. ლ. ვოლპერტი, 10. ტ. ზატულოვსკაია, 11. კ. ზვორიკინა, 12. ნ. გაფრინდაშვილი, 13. ვ. ბორისენკო (ხუთივე საბჭოთა კავშირიდან), 14. ლ. ლეინი (ამერიკის შეერთებული შტატები), 15. ა. ნიკოლაუ (რუმინეთი), 16. მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია), 17. ა. კარაკაშნე (უნგრეთი).

27 ოქტომბერს მონაწილეებმა აიღეს სტარტი. ბრძოლა თავიდანვე დაიმუხტა. I ტურში 5-საათიან თამაშს მოჰყვა მხოლოდ სამი პარტიის დამთავრება. გამარჯვების პირველი მერცხალი იყო გაფრინდაშვილის მოგება პოლონელ კონარკოვსკასთან. საქართველოს ჩემპიონმა თეთრებით აქტიურად გაითამაშა დებიუტი და ააგო შემტევი პოზიცია. ძალების შემდგომი მობალიზებით მან განავითარა კომბინაციური იერიში და 36-ე სვლაზე აიძულა მეტოქე დანებებულიყო. ახალგაზრდა ამერიკელმა ლეინმა ვერ გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა უფროს კოლეგას ნიუ-იორკიდან გრესერს და დამარცხდა. ენერგიული თამაშით ჰოლანდიის ჩემპიონმა ჰეემსკერკმა მოუგო ზვორიკინას. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

28 ოქტომბერს, II ტურში კვლავ ისახელა თავი გაფრინდაშვილმა. იგი შეხვდა ჰეემსკერკს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ოსტატი შავებით თამაშობდა, მან მაინც შეძლო სიცილიურ დაცვაში ინიციატივის ხელში ჩაგდება და იერიშის წამოწყება. ჰოლანდიელი დიდხანს და შეუპოვრად იცავდა თავს, მაგრამ უშედეგოდ. საქართველოს ჩემპიონმა პარტია გამარჯვებით დააგვირგვინა. მძაფრი ბრძოლა გაიმართა ზვორიკინა-ვოლპერტის პარტიაში. წინა ტურში წაგებით „გაბრაზებულმა“ ზვორიკინამ სძლია ლენინგრადელ ოსტატს. სხვა პარტიები ამ დღეს არ დამთავრებულა.

დიდი ინტერესი გამოიწვია გადადებული პარტიების დამთავრებამ, რომელიც 29 ოქტომბერს გაიმართა. იუგოსლავიის ჩემპიონმა ლაზარევიჩმა ორი ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში. მან მოუგო ნედელკოვიჩსა და პოლიქრონიადეს. იუგოსლაველთა ფავორიტმა ნედელკოვიჩმა გაიმარჯვა კარაკაშნესთან, რომელმაც თავის მხრივ დაამარცხა რინდერი. ვოლპერტმა მოუგო ზატულოვსკაიას, ხოლო ბორისენკო ორივე პარტიაში — შოდე დე სილანსა და კონარკოვსკასთან ყაიმით დაკმაყოფილდა. ლეინმა პირველი დამარცხება მიაყენა შოდე დე სილანს. ერთმანეთს არ აწყენინეს რუმინელებმა—პოლიქრონიადემ და ნიკოლაუმ, რომლებიც ყაიმზე შეთანხმდნენ. დამარცხება განიცადა თავის პირველ პარტიაში მონღოლმა ჰუნდსურენმა (რინდერთან).

II ტურის შემდეგ მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა გარკვეულია: ლიდერობენ ნ. გაფრინდაშვილი და მ. ლაზარევიჩი, რომლებსაც ორ-ორი ქულა აქვთ.

# მიღწეულს არ უნდა დავჯერდეთ

ახლა, როცა ამ რამდენიმე ხნის წინათ დამთავრდა თბილისის პირველობა ფრენბურთში და მოახლოვდა საქართველოს 1961 წლის ჩემპიონატი, ჩვენ გვინდა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ჩვენს რესპუბლიკაში ფრენბურთის განვითარების ზოგიერთ საკითხს, გადავხედოთ განვლილ გზას და რესპუბლიკაში ოსტატთა გუნდის შექმნის ისტორიას.

წელს მოხდა ერთი სასიამოვნო ფაქტი: თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა წარმატებით დაამთავრა საკავშირო ჩემპიონატი და მე-5 ადგილი მოიპოვა, ასევე წარმატებით დაამთავრა გამოსვლები პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადაზე. ზოგიერთი სკეპტიკოსები, რომლებიც მიეჩვივნენ ჩვენი კალათბურთელებისა და მოჭიდავეების ბრწყინვალე გამარჯვებებს, ალბათ იტყვიან: — რა მოხდა ისეთი, მე-5 ადგილი განა წარმატებაა?!...

დიახ, ეს მართლა ჯერ კიდევ არც თუ ისეთი წარმატებაა, მაგრამ ამისთვის, რომ მიგვეღწია, დაგვჭირდა წლები, დიდი მუშაობა და საერთოდ ყველაფრის ახლად შექმნა. ეს რომ უფრო ნათელი იყოს, საჭიროა ცოტა უკან, ექვსი-შვიდი წლით დავიხიოთ. მაშინ ჩვენი რესპუბლიკის გუნდიდან, რომელიც საკავშირო პირველობებში იღებდა მონაწილეობას, წავიდნენ ისეთი მაღალი კლასის მოთამაშეები, როგორიც იყვნენ თელია, ტარახჩიანი, ყიფიანი, რომანინი, სპეშნევი, ტიშჩენკო. ამის შედეგად ჩვენ აღმოვჩნდით ერთი სამწუხარო ფაქტის წინაშე — არ იყო ღირსეული ცვლა. ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ ვისი მიზეზით მოხდა ეს. იგი უკვე ისტორიაა, მაგრამ ფაქტი კი ფაქტად რჩება და შემდგომში ეს არ უნდა გამეორდეს. ჩვენ ხომ რესპუბლიკაში გამოცდილ მწვრთნელთა საკმარისი რაოდენობა გვყავს?

ამის შემდეგ დაიწყო კარგი გუნდის შექმნის ცდის წლები, ამაღლებისა და ჩავარდნების წლები. ვეძებდით მოთამაშეებს ახალგაზრდებს შორის, მაგრამ მათგან, სამწუხაროდ, ცოტანი იყვნენ ისეთები, რომლებიც ოსტატთა გუნდს გამოადგებოდნენ. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ კარგი მოთამაშის დადგომას ესაჭიროება ერთი სხვა ფაქტორიც: შეჯიბრებებში მონაწილეობის დიდი სკოლა. კარგი მოთამაშე ხომ დიდ შეჯიბრებებში იწრთობა. ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელებს, კალათბურთელებს, მოჭიდავეებს ყოველწლიურად ხანგრძლივ და მრავალ დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღების საშუალება აქვთ. ფრენბურთელები კი ასეთ საშუალებებს მოკლებული არიან. მათი დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობის არე ძალზე პატარაა. აქედან, სათანადო გამოცდილების მიღების შესაძლებლობა ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელებს შედარებით ნაკლები აქვთ. ჩვენში ფრენბურთი წლების განმავლობაში თვითდინებით ვითარდებოდა და ამიტომ იყო, რომ კარგა ხნის განმავლობაში ჩვენი საუკეთესო გუნდი „ბ“ კლასის ფარგლებს ვერ სცილდებოდა. ასე მიდიოდა დრო, საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში რიგრიგობით გამარჯვებულთა შორის ვხვდებოდით თბილისის არმიელთა, პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების ფრენბურთელებს...

... იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდიც, რომელიც მართალია, ხშირად არ იყო გამარჯვებულთა რიგებში. სიტყვა გუნდს ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ ეს მისი მთავარი დამახასიათებელი თვისება იყო — ეს იყო მოთამაშეთა შორის მეგობრობა, ურთიერთგაგება როგორც ცხოვრებაში, ისე სპორტში, ე. ი. გუნდს გააჩნდა ის, რაც ერთ მთლიან და მონოლითურ კოლექტივს უნდა ჰქონდეს. ამგვარად, გუნდი ცალკეულ მოთამაშეთა კრებულს არასოდეს არ წარმოადგენდა. აქვე უნდა ითქვას, რომ გუნდში კოლექტივიზმისა და მეგობრობის განმტკიცებას თავისი ისტორია აქვს, რომელმაც ინსტიტუტში ათეულ წელზე მეტია, რაც ფესვები გაიდგა. ინსტიტუტის დოცენტებმა გ. და ზ. ხანთაძეებმა, მ. ასლანიდიმ და სხვებმა ჩაუყარეს საფუძველი მეგობრული კოლექტივის შექმნას. მეგობრობის ესტაფეტა ხელიდან ხელში გადადიოდა და აი უკვე 1959 წელს გუნდში მოვიდა ახალგაზრდული ძალები. გუნდი თანდათან მტკიცდებოდა, მწვრთნელი გ. ასლანიდი ყველაფერს აკეთებდა მისი დაოსტატებისათვის, უკვე მყარი კოლექტივის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. გუნდმა პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა 1960 წელს რესპუბლიკის ზამთრის პირველობაზე. მაშინ მათ დაამარცხეს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელები, გავიდნენ პირველ ადგილზე და მიიღეს სსრკ პირველობაში „ბ“ კლასის გუნდებს შორის მონაწილეობის უფლება. ფრენბურთელთა კოლექტივს წინ კიდევ რთული გზა ჰქონდა გასავლელი. „ბ“ კლასის გუნდებს შორის გათამაშებაში გუნდმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ მხოლოდ ერთი წაგებით შეძლო ფინალში გასვლა.

ფინალში პირველივე თამაში წავაგეთ. ამან კოლექტივი იმის საშიშროების ქვეშ დააყენა, რომ თუ კიდევ ერთხელ წაიბორძიკებდა, „ა“ კლასში გადასვლის უფლებას ვერ მოიპოვებდა. და სწორედ ამ დროს ფრენბურთელებმა შეძლეს უფრო მონოლითურად შეკავშირება, გამარჯვებისადმი სწრაფვამ თავისი გაიტანა და დანარჩენი მატჩების მოგებით „ა“ კლასის გუნდებს შორის დაიკავა ადგილი.

პირველად ბევრი სთვლიდა, რომ „ა“ კლასის გათამაშებაში მონაწილე ახალბედა გუნდი დიდ ვერაფერ შედეგს მიაღწევდა, მაგრამ მათი პროგნოზები სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა ჩვენდა საბედნიეროდ არ გაამართლა. დიდი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, მწვრთნელების ა. [illegible] და გ. ასლანიდის ყოველდღიური მუშაობის შედეგად 1961 წლის პირველობაზე მივაღწიეთ იმას, რომ V ადგილი მოვიპოვეთ, პროფკავშირთა სპარტაკიადაზე კი მესამე საპრიზო ადგილი. პროფკავშირთა სპარტაკიადაზე ჩვენმა გუნდმა გაუსწრო ისეთ ძლიერ გუნდებს, როგორიცაა ლატვიის, ლენინგრადის, რსფსრ-ს და სხვა კოლექტივებს.

რატომ შევჩერდით ასე ვრცლად ჩვენ ფრენბურთში მთელ რიგ ჩავარდნათა და უკანასკნელ წლებში მოპოვებულ წარმატებათა საკითხებზე? — იმიტომ, რომ ჩვენ არ გვინდა წარმატებებმა თავბრუდახვევა გამოიწვიოს რესპუბლიკის წამყვან ოსტატთა გუნდში. საჭიროა, რომ უფრო მეტი მოთხოვნები წავუყენოთ ჩვენს თავს, უფრო მეტად გვიყვარდეს კოლექტივი და ყოველდღიურად ვამტკიცებდეთ მოთამაშეთა შორის მეგობრულ ურთიერთობას, ყოველდღიურად ვზრდიდეთ თვითეულ მოთამაშეში გამარჯვებისადმი წყურვილსა და სწრაფვას. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ თუ არ გავუფრთხილდებით მონაპოვარს, თუ არ ვიბრძოლებთ ახალი გამარჯვებებისათვის მთელი სერიოზულობით, მძიმე და დაძაბული შრომით შექმნილი კოლექტივი წარუმატებლობათა გზაზე დაექანება. ახლა, როცა გუნდი ოსტატთა კოლექტივად იწოდება, მთელი ძალები უნდა მოვახმაროთ იმას, რომ რესპუბლიკის წამყვანი ფრენბურთელების ოსტატობა ახალ სიმაღლეზე ავიყვანოთ.

**ი. ბოიკო,**
**სპორტის ოსტატი.**



## ჩემპიონატი გრძელდება

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში ბრძოლა ჯერ კიდევ არ გაცხარებულა, უკვე ცხადია, რომ „მონაკოს“ მეტად გაუჭირდება შარშანდელი წარმატების შენარჩუნება. მან, მართალია, დასაწყისში ხელთ იგდო ლიდერობა, მაგრამ შემდეგ სასტიკი დამარცხება განიცადა. ავიღოთ თუნდაც VIII ტურის მატჩი „ლანთან“. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ჩემპიონის ცენტრალური მცველი ლუდო (ლუდვიკოვსკი) ვერ უმკლავდებოდა „ლანის“ ცნობილ ცენტრფორვარდს ვისნესკის. ამავე დროს „მონაკოს“ თავდასხმამ ვერაფერი დააკლო „ლანის“ შეუპოვარ დაცვას, სადაც საუცხოოდ ითამაშა ეროვნული ნაკრების ცენტრალურმა მცველმა ბუგანსკიმ. ანგარიში 0:5 „მონაკოს“ არნახულ განადგურებას მოასწავებდა. ამის შემდეგ „მონაკომ“ შეძლო მომდევნო მატჩის მოგება პირველი ლიგის დებიუტანტ „მონპელიესთან“ (5:3).

პირველ ადგილს 16 ქულით მტკიცედ ინარჩუნებს საფრანგეთის ყველაზე უფრო პოპულარული გუნდი „რეიმსი“. წელს გუნდი განსაკუთრებული ამაღლებით თამაშობს. მეკარე კოლონა, მცველები ვენდლინგი და როძიკი, ნახევარმცველი მიულერი მაღალ დონეზე, ზოგჯერ პირდაპირ „არტისტულად“ ატარებენ შეხვედრებს. „რეიმსი“ ყოველთვის გამოირჩეოდა შეტევით, მწვავე კომბინაციური თამაშით. მისმა თავდასხმამ თავი დააღწია „შარშანდელ ჩიხს“. აქ ძირითადად „ძველი“ ფეხბურთელები თამაშობენ, თუმცა მათი თამაშის მანერა საგრძნობლად შეიცვალა. აი „რეიმსის“ თავდასხმა: კოპა-აკესბი-გლოვაცკი-პიანტონი-ვენსანი. ერთადერთი ახალი ფეხბურთელი აქ არის მაროკოელი ჰასან აკესბი, რომელიც ასრულებს ფონტენის „როლს“. აქვე უნდა ითქვას, რომ აკესბი ფონტენთან შედარებით ბევრად უფრო მრავალმხრივი მოთამაშეა. ესაა უაღრესად დახვეწილი ტექნიკის და ძლიერი დარტყმის მქონე ფორვარდი. კოპა „ნომინალური“ მარჯვენა გარემარბია, რადგან დროის ძირითად ნაწილს ცენტრში ატარებს. გუნდის ცნობილმა სნაიპერმა ფონტენმა დაამთავრა მკურნალობა და გაძლიერებულ ვარჯიშს გადის, ისე, რომ მალე დაიკავებს გლოვაცკის ადგილს. ამგვარად, „რეიმსი“ წელს ჩემპიონობის ყველაზე უფრო რეალური პრეტენდენტია. ლიდერთა შორის არიან აგრეთვე „ლანი“, „რენი“ და „ნიმი“.



# ფეხბურთის ახალი ამბები

## გრივსის განცხადება

როგორც ცნობილია, ინგლისის უკანასკნელი ჩემპიონატების საუკეთესო „ბომბარდირი“ ჯიმი გრივსი „ჩელსიმ“ დაუთმო იტალიის „მილანს“, სადაც იგი ცნობილ მაცოლა-ალტფინის მხარდამხარ თამაშობს. მაგრამ თუ ინგლისში გრივსი გამოირჩევა მეტად შეუპოვარი თამაშითა და გოლის „წყურვილით“, ამჟამად იგი სრულიად ინერტული გახდა. ეს გასაკვირი არ არის. გრივსს არ უნდა იტალიაში ყოფნა. როგორც იტალიელი მიმომხილველები წერენ: „განა მიზანშეწონილი იყო „მილანის“ მიერ ისეთი მოთამაშის შეძენა, რომელსაც სამშობლოს დატოვება არ სურს“. ცნობილი „ბომბარდირის“ ნაცვლად მილანს შერჩა მოთამაშე, რომელსაც მოედანზე სირბილი არ სურს. რამდენიმე თამაშის პასიურად ჩატარების შედეგად ინგლისელმა ფეხბურთელმა შენიშვნა მიიღო „მილანის“ ხელმძღვანელობისაგან და როდესაც არც ამან გასჭრა, გრივსს ჯამაგირი დაუკლეს. დიდი მუქარის შემდეგ გრივსმა, როგორც იქნა, მთელი ძალით ითამაშა ლიდერთან, „ინტერნაციონალესთან“ შეხვედრაში და თავის კლუბს გამარჯვება მოუტანა (3:1). მაგრამ ამას კვლავ ინერტიულად ჩატარებული მატჩების სერია მოყვა და გრივსს ისევ დაუკლეს ჯამაგირი.

ამ დღეებში ვენის გაზეთ „ესტერრაიხიშე ფოლკშტიმეში“ გამოქვეყნდა გრივსის განცხადება, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ იგი აღარ აპირებს ითამაშოს იტალიაში, მაგრამ გრივსი ხომ ხელშეკრულებითაა შეკრული „მილანთან“ და ვადის გასვლამდე ნება არა აქვს დასტოვოს ეს კლუბი? არსებული პირობების თანახმად, გრივსს მოუხდება იტალიაში დარჩენა, თუ ინგლისის რომელიმე კლუბმა არ გამოისყიდა იგი.

✦

## ლიგათა ნაკრებების თამაშის წინ

უკანასკნელ ხანებში ტრადიციული გახდა იტალიისა და ინგლისის ლიგათა ნაკრებების შეხვედრა. შარშან, რომში გაიმარჯვეს იტალიელებმა (4:2). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ეს შეხვედრა ეროვნული ნაკრებების მატჩებისაგან იმით განსხვავდება, რომ მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია უცხოელებსაც. შარშან ინგლისელთა კარს გერმანელი ფეხბურთელი იცავდა, ხოლო იტალიის გუნდში რამდენიმე სამხრეთამერიკელი თამაშობდა.

როგორც ამ დღეებში რომის გაზეთ „უნიტაში“ გამოქვეყნებული განცხადებიდან ჩანს, ამჯერად იტალიელებმა გადაწყვიტეს ინგლისელები მათივე იარაღით დაამარცხონ და თავიანთი ლიგას ნაკრებში იტალიაში მოთამაშე რამდენიმე ბრიტანელი ფეხბურთელი შეიყვანეს. აი იტალიის ლიგის ნაკრების თავდასხმა: მარჯვენა გარემარბად ითამაშებს სახელოვანი შვედი ჰამრინი, ხოლო მარჯვენა შუამარბად შოტლანდიელი ლო (დღეს ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს თავდამსხმელად ითვლება), ცენტრფორვარდი ინგლისელი ჰიტჩენსი, მარცხენა შუამარბი — ესპანელი სუარესი. მხოლოდ მარცხენა ფრთაზე ითამაშებს „წმინდა იტალიელი“ პეტრონსი. ამით არ ამოიწურება „უცხოელთა ლეგიონი“ იტალიის ნაკრებში. ნახევარმცველებად ითამაშებენ ცნობილი ცენტრფორვარდები ნილსენი (დანია) და ჩარლზი (უელსი).

მატჩი ნოემბრის შუა რიცხვებში უნდა გაიმართოს. ჯერ კიდევ ცნობილი არ არის, თუ როგორ შემადგენლობას დაუპირისპირებენ ასეთ „ჭრელ“ გუნდს ინგლისელები.

რედაქტორი ი. უგულავა.

**1-4**

**ნოემბერი**

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

„ბურევესტნიკის“
რესპუბლიკური
პირველობა
მძლეოსნობაში

დასაწყისი 15 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01191